გაუმარჯოს პირველ მაისს!

მოგილოცავთ დღესასწაულს, მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 — მაისი პარასკევი — 1970 — ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 102 (14706)

ნახატი ბ. მაისურაძისა.

მაისის მზე

დღეს პირველი მაისია! გაზაფხულის გვირგვინი და სიცოცხლის, სილამაზისა და მშვენიერების მზიანი დღესასწაული.

ყველაფერი იღვიძებს, ბუნება იფოთლება და ჰყვავის, ყველგან სიახლე იბადება, იფურჩქნება და ხარობს... ამ სიახლეში, სიცოცხლისა და სიმშვენიერის ტრფიალში, მშრომელი ადამიანის უფლებისა და მისი ლაღი ცხოვრების ძიებაში დაიბადა გაზაფხულის დიდი დღესასწაული — პირველი მაისი.

დღეს პირველი მაისია! მზე მაღლდება და მისი სხივები უფრო მხურვალედ ათბობს დედამიწას, ჭირნახული მუხლში შედის და ტანს იყრის, რძით სავსე ბუნება ეძახის ადამიანის გამრჯე მარჯვენას... შრომა ზეიმობს, შრომა მართალი და თავისუფალი...

ამ მართალი და თავისუფალი შრომის ძიებაში, ამ თვალწარმტაცი ბუნების წიაღში, ადამიანის ბედნიერებისათვის ბრძოლაში დაიბადა მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი სოლიდარობის დღესასწაული — პირველი მაისი!

დღეს პირველი მაისია! ჭერი მაღლდება მშრომელი კაცისა, თბებიან მთები, დნება ყინული და უბესავსე მდინარეები ხევ-ხევ მორბიან, რომ ზღვად იქცნენ და მერე ნამად დაეკურონ დედამიწას. ზოგან ამ ტალღებს ცეცხლი მოსტაცა ადამიანმა, ზოგან კიდევ შეაოკა მისი დინება, უკუაქცია, რომ ბალ-ბოსტნებში სიცოცხლემ უფრო იზეიმოს და გაიხაროს.

იმისათვის, რომ ყველგან დათბეს, ყველგან გადნეს ყინული, და მთა და ბარი, წყალი და მიწა მშრომელ ადამიანს ემსახუროს, დაიბადა ხალხთა დიადი დღესასწაული — პირველი მაისი!

დღეს პირველი მაისია! ვით ხშირი ტყე, მადლიანი და ამწვანებული ისე აშრიალდებიან წითელი დროშები ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, ჩვენს პროსპექტებსა და ქუჩებში, აფრიალდებიან დროშები, რომლებსაც აწერია: შრომა, თავისუფლება, ძმობა, მშვიდობა მეგობრობა, მაისი!

იმისათვის, რომ ჩვენს გვერდით, ჩვენსავით ლაღად და ბედნიერად იზეიმოს ყველა ქვეყნის მშრომელმა ადამიანმა, ყველგან იყოს მშვიდობა და თავისუფლება, დაიბადა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — პირველი მაისი!

დღეს პირველი მაისია! მზემ და თავისუფალი ადამიანის მარჯვენამ, მისმა დაუშრეტელმა ნებამ კიდევ უფრო დაამშვენეს და გაალამაზეს ეს თვალწარმტაცი ბაღები და ვენახები, ეს ზურმუხტოვანი პლანტაციები... ცას ებჯინებიან გიგანტების უთვალავი საკვამურები, მიწა დაუხატავს შენობებს, ანძებსა და მავთულებს, რკინიგზებსა და გზატკეცილებს, სოფელი ქალაქს გასჭიბრებია... რა არ შეუძლია თავისუფალ კაცს, ვისაც წინ უძღვის ნათელი დროშა, მშვენებელი ახალი ქვეყნისა, დროშა, რომელსაც ახატია დიდი ლენინი და რომელიც ხელთ უპყრია კომუნისტურ პარტიას!

ეს დროშა ასე ძლიერი, ასე ლაღი და ხალხთა გულის მესაიდუმლე, მათი ძალების დამრაზმავი რომ ყოფილიყო, დაიბადა დიადი დღესასწაული — პირველი მაისი!

დღეს პირველი მაისია! გაზაფხულისა და თავისუფლების დიდი ზეიმი... ამ დღის პირველი მედროშეები იქნებიან ჩვენი ქვეყნის მარად უჭკნობი ყვავილები — ბავშვები, ახალგაზრდობა. ეს მარადიული სიცოცხლეა, იმედია თავისუფალი ქვეყნისა — მაისივით ნათელი და გულმხურვალე.

იმისათვის, რომ მათ ჰქონოდათ ასეთი ლაღი სიცოცხლე, ეს უამრავი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი, მილიონობით წიგნები და დახატული ქვეყანა, მაღალი კლასის მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება... რომ მათ მემკვიდრეობად გადასცემოდათ მამათა ბრძოლა და შრომა, წინაპართა სახელოვანი გმირობა და მამაცობა, დაიბადა დიადი დღესასწაული — პირველი მაისი.

დღეს პირველი მაისია! გაზაფხულის მზე ყველგან ანათებს, მისი სხივები ყველა ადამიანის გულისაკენ მიეშურება... მაგრამ მასაც არ ძალუძს ყველა გათბოს. ყველას აგრძნობინოს სიცოცხლის სიხარული... ზოგან ტყვია ასწრებს მზის ამოსვლას, ვერაგი და ადამიანის სისხლითა გაუმაძღარი კაცის ნასროლი ტყვია განურჩევლად უგმირავს გულს უდანაშაულო კაცსა და ქალს, ბავშვსა და მოხუცს... ომის მოყვარულნი, ადამიანის სისხლში ოქროს მაძიებელნი, ქალებისა და ბავშვების მკვლელნი მაისის მზეს ლაქად, ნისლად, ღრუბლად ედებიან...

იმისათვის, რომ ქვეყნად მშვიდობა იყოს, რომ ცხელი ტყვია ბავშვებს კი არ მოხვდეს, არამედ იმ ჯალათს, რომელიც ომს აჩაღებს. იმისათვის, რომ ყველგან დედამიწის ყველა კონტინენტზე მოისპოს ჩაგვრა და მონობა, ომი და მკვლელობა, ადამიანებმა იშრომონ და იცხოვრონ მშვიდად და ბედნიერად, დედამ უცრემლოდ იმღეროს იავნანა და ბავშვმა უშიშრად იაროს სკოლაში, დაიბადა მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დიადი საყოველთაო დღესასწაული — პირველი მაისი!

დღეს პირველი მაისია — შრომის, თავისუფლების, ბედნიერების, მშვიდობის, მეგობრობის საერთაშორისო დღესასწაული! მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის საბრძოლო დათვალიერების დღე!

დაე მარად იკაშკაშოს პირველი მაისის მზემ და ყველგან ლაღად იფრიალოს მისმა ძირსდაუხრელმა დროშამ.

ასახელებენ ღირსეულთ

29 აპრილს ჩვენს ქვეყანაში დაიწყო საოლქო წინასაარჩევნო თათბირები

ბოსკოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბაუმანის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები მოკიდნენ თავიანთ წინასაარჩევნო თათბირზე რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში.

საანგარიშო-ანალიზური მანქანების ქარხნის ზეინკალმა-მემრუდთარეგმ ბ. ი. ნიკოლაევმა თქვა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბაუმანის საარჩევნო ოლქში ერთსულოვნადაა დასახელებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, განაცხადა გ. ი. ნიკოლაევმა, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია პარტიის ხელმძღვანელი როლის ასამაღლებლად, სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური დემოკრატიის ფართოდ განვითარებისათვის. და ეს უწინარეს ყოვლისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დამსახურებაა.

კოლექტივის სახელით ორატორმა მოუწოდა თათბირის მონაწილეებს მხარი დაუჭირონ ქარხნის მშრომელთა გადაწყვეტილებას.

თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორი ლენინური პრემიის ლაურეატი ნ. ნ. მალინინი, ფეხსაცმლის საწარმოთა გაერთიანების „ბურევესტნიკის“ გამომჭრელი მ. ი. ლევჩენკო და სხვები.

ყველამ მხურვალედ დაუჭირა მხარი წინადადებას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატად ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქში.

ს. ი. ჟუკის სახელობის საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „ჰიდროპროექტის“ საპატო დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა, მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორმა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ი. ნ. პუტილოვამ თქვა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქში დასახელებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

ორატორმა ნ. ვ. პოდგორნი დაასახელათა როგორც დიდი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, უნარიანი, ენერგიული ხელმძღვანელი.

მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კოლექტივის სახელით მან საოლქო წინასაარჩევნო თათბირის ყველა მონაწილის მოუწოდა მხარი დაუჭირონ ამ კანდიდატურას.

— ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად მიიღო დადგენილება — მოიწონონ გადაწყვეტილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქში დასახელონ ამხანაგი ნ. ვ. პოდგორნი.

თათბირის მონაწილეებმა ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნის სთხოვეს კენჭი იყაროს ლენინგრადის საარჩევნო ოლქში.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ო. დორტიკოსს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი** 29 აპრილს შეხვდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სამდივნოს წევრს, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხ. **ო. დორტიკოს ტორადოს,** რომელიც მონაწილეობას იღებდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულში.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **კ. თ. კატუშევმა.**

ამხ. **ო. დორტიკოსმა** ილაპარაკა კუბის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, კუბის კომპარტიის, რევოლუციური მთავრობისა და მთელი კუბელი ხალხის დიდ დონისძიებებზე სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების განხორციელებისათვის. მან აღნიშნა, რომ კუბელი კომუნისტები სოციალისტურ მშენებლობაში უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ლენინის მოძღვრებას.

ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევმა** ილაპარაკა საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ და სამეურნეო განვითარებაზე, აქტუალურ ამოცანებზე, რომლებსაც წყვეტენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე. მან აღნიშნა, რომ ამ ამოცანების შესრულებაში — ახალი საზოგადოების მშენებლობაში, კუბის რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებაში.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და კუბის კომუნისტურ პარტიას შორის, საბჭოთა კავშირსა და კუბის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები.

საუბარმა გულითადი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობის შედეგების შესახებ

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სრულიად საკავშირო კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობდა 119,2 მილიონი კაცი, აქედან:

მრეწველობაში —	27,2 მილიონი კაცი
მშენებლობაში —	6,4 „
ტრანსპორტზე —	5,9 „
საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში —	8,1 „
კოლმეურნეობებში —	18,6 „
დასახლებული ადგილების კეთილმოწყობისა და სხვა სამუშაოებზე —	58,0 „

შაბათობის დროს წარმოებულია სხვადასხვა სახეობის დიდძალი პროდუქცია: ქვანახშირი, ავტომობილები, ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სამრეწველო მოწყობილობა, საშენი და ხეტყის მასალები, სახალხო მოხმარების საქონელი — ქსოვილები, ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფეხსაცმელი, კვების პროდუქტები, ტელევიზორები, მაცივრები, ელექტრომტვერსასრუტები და სხვა ნაწარმი. სულ შაბათობაზე გამომუშავებულია 600 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, თუ არ ჩავთვლით იმ საწარმოთა პროდუქციას, სადაც წარმოების პროცესი განუწყვეტელია.

ა. ნ. კოსიგინის დეპეშა ინდოჩინეთის ხალხების წარმომადგენელთა თათბირის მონაწილეებისადმი

როგორც ცნობილია, 24-25 აპრილს, გაიმართა ინდოჩინეთის ხალხთა წარმომადგენლების კონფერენცია. თათბირის მონაწილეებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მთავრობის სახელით მხურვალედ მივესალმები ინდოჩინეთის ხალხების წარმომადგენლების თათბირის მონაწილეებს, რომლებიც გამოხატავენ მილიონობით ვიეტნამელის, ლაოსელისა და ქხმერის ნებასა და გრძნობებს.

თათბირი შეიკრიბა ისეთ პირობებში, როცა ამერიკის იმპერიალისტური წრეები, ახორციელებენ რა სხვადასხვა პოლიტიკურ მანევრს, შეიარაღებულ პროვოკაციებს მიმართავენ ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების წინააღმდეგ, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება ამ რაიონში. არ ძალუძს რა იარაღით უკარნახოს თავისი პირობები სამხრეთ-ვიეტნამელ პატრიოტებს, რომლებმაც გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს იმპერიალისტურ აგრესიას, ამერიკის სამხედრო ხროვა ახლა ცდილობს დაარტყას სამხრეთ ვიეტნამის ფლანგებს — ლაოსისა და კამბოჯის ტერიტორიებს, რათა იზოლაციაში მოაქციოს და შეასუსტოს ვიეტნამის ეროვნულ-პატრიოტული ძალები. კამბოჯის უკანასკნელი ამბები, კერძოდ, მასობრივი რეპრესიები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მოასწავებენ იმპერიალისტების აშკარა მესწრაფვას ერთმანეთს წაჰკიდონ ხალხები, გააჩაღონ ომის „ვიეტნამიზაციის“ ყბადაღებული პოლიტიკა მთელ ინდოჩინეთზე, „დაახოცინონ აზიელებს აზიელები“ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების ინტერესებისათვის.

როგორც ითვალისწინებდა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ანტიიმპერიალისტური ბრძოლა აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ხალხებისა, რომლებიც ეყრდნობიან სოციალიზმის ძალების მძლავრ მხარდაჭერას, სულ უფრო დიდ როლს ასრულებს მსოფლიოს განახლების რევოლუციურ პროცესში. ვიეტნამელი ხალხის თავგანწირვა და გმირობა, ლაოსელ პატრიოტთა მამაცობა და შეუპოვრობა, ქხმერების წინააღმდეგობა იმპერიალისტური ჩარევისადმი დიდსეული წვლილია ამ ბრძოლაში, შთამაგონებელი მაგალითია სხვა ხალხებისათვის, რომლებიც თავიანთი ქვეყნების ხალხების საკეთილდღეოდ. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი საქმიანობა კიდევ უფრო განამტკიცებს ინდოჩინეთის ხალხთა ერთიან ანტიიმპერიალისტურ ფრონტს, რაც, ეჭვი არ არის, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს იმპერიალისტთა აგრესიული გეგმების ჩიფუშვაში.

უკანასკნელი წლების გამოცდილება დამაჯერებლად მოწმობს, რომ იქ, სადაც მტკიცე ერთობა და შეკავშირებაა, იმპერიალიზმი გარდუვალად მარცხდება“.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მშრომელების კომუნისტური აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის, დაარსების ორმოც წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი **„საქართველოს კომუნისტი“** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ანჯაფარიძე

თბილისი,
1970 წლის 30 აპრილი.

სრული ერთსულოვნებით

საოლქო წინასაარჩევნო თათბირები

თბილისის ოქტომბრის საარჩევნო ოლქი

◆

ბაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ოქტომბრის № 164 საარჩევნო ოლქში შემავალი საწარმოების, დაწესებულებების მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი.

თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნ. ჯაპანიძემ. ამ. ბ. ბ. ბ

1 მაისი

ძმური სალამი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს, რომელიც თავდადებით იბრძვის მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ, მშრომელთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური უფლებებისათვის, სოციალისტური იდეალების გამარჯვებისათვის!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

გამარჯვება დიდებულ ბრძოლამ დაგვირგვინა

საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი

პირველი მაისი! მონოპოლიების ჩაგვრის წინააღმდეგ მზარდი ბრძოლით აღინიშნება მიმდინარე წელს პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის დღე კაპიტალიზმის ქვეყნებში.

ოთხმოცი წლის წინათ პირველად აღინიშნა ეს ინტერნაციონალური დღესასწაული.

ასი წლის წინათ დაიბადა ლენინი, ადამიანი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ჩაგრულთა ბედნიერებისათვის თავდადებისა და გმირობის უბადლო მაგალითი იყო.

ლენინიზმმა მუშათა კლასის ბრძოლისა და გამარჯვების ნათელი პერსპექტივები დასახა, და დღეს მისი დროშა გზას უნათებს პროლეტარულ მასებს ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში. კლასობრივ ბრძოლებში დულაბდება მშრომელთა ერთიანობა, მათი მიზანია არა მარტო მიაღწიონ უკეთეს ცხოვრებას, არამედ სამუდამოდ მოუღონ ბოლო კაპიტალისტურ სისტემას.

ეი რატომ არის, რომ დღეს საპირველმაისო მანიფესტაციებზე გაისმის ლოზუნგები მუშათა კლასის კონკრეტულ მოთხოვნათა დასაცავად, რომლებიც გამოხატავენ მშრომელთა რწმენას კიდევ უფრო შეუპოვრად შეუტიონ კაპიტალიზმს.

ბაზაუხულის ამ დღეებში ყველა ჩვენი საქმე და ფიქრი გაცისკროვნებულია სახელოვანი იუბილეს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შუქით. კომუნისტური პარტიის, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ჩვენი სამშობლოს მშრომელმა ხალხმა მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, განადგურა თეთრგვარდიელები და უცხოელი ინტერვენტები სამოქალაქო ომის ცეცხლოვან წლებში. პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის დროშით მეოთხედი საუკუნის წინათ საბჭოთა ადამიანებმა მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მთელი კაცობრიობის უბოროტეს მტერზე — გერმანიის ფაშიზმზე.

განვლილ გზას, მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ ჩვენს ბრძოლას რომ ავლილ თვალს, ასეთ დასკვნამდე მიდიხარ: აგრესორები მუდამ გულმოდგინედ და ფარულად ამზადებდნენ ომის დაწყებას. საკმაოდ ხშირად მას წარმატებით იწყებდნენ. მაგრამ ომის დამთავრება მათს ნებაზე არა ხდებოდა. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ისტორია მოწმობს, რომ ვერავითარმა უბედურებამ და წარუმატებლობამ ვერ გატეხა საბჭოთა ხალხის ნება და ვერ შეარყია ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ძლიერება.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ დამაჯერებლად დამტკიცა, რომ სამხედრო ორგანიზაციამ, რომელიც ემყარება სოციალისტური და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობებს, ყველა მხრივ აჯობა კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ორგანიზაციას. შეიარაღებული ძალებისადმი კომუნისტური პარტიის უნარიანი ხელმძღვანელობა ფაშისტურ გერმანიაზე ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადამწყვეტი დამარცხება მივაყენეთ ჰიტლერულ არმიას. ომის წლებში საბჭოთა არმიამ გაანადგურა მოწინააღმდეგის მთავარი სახმელეთო და საჰაერო ძალები. გამარჯვება უზრუნველყოფილ იქნა საბჭოთა ხალხის გმირული შრომით, რომელმაც ყოველივე შესაძლებელი გააკეთა იმისათვის, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები ყველა სახეობის საბრძოლო ტექნიკით აღეჭურვა.

დიდი სამამულო ომის დასკვნითი ოპერაცია იყო ბრძოლა ბერლინისათვის. ეს მთელი მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სტრატეგიული ოპერაცია იყო. ამ ბრძოლაში ორივე მხრიდან მონაწილეობა მიიღო 3,5 მილიონამდე კაცმა, 52 ათასმა ქვემეხმა და ნაღმსატყორცნმა, 7.750 ტანკმა და თვითმავალმა საარტილერიო დანადგარმა, 11.000-მდე საბრძოლო თვითმფრინავმა.

ჩვენი გამარჯვების 25 წლისთავის წინ მინდა „პრავდის“ მკითხველებს ვუამბო ამ შესანიშნავი ოპერაციის შესახებ და ამაგე დროს ერთხელ კიდევ მოვაგონო დასავლეთში ახალი სამხედრო ავანტიურების შთამაგონებლებს, თუ რა უსახელო იყო ბოლო ჰიტლერული მესვეურებისა, რომლებმაც წარსული ომი გააჩაღეს.

□

1945 წლის ზამთრისა და გაზაფხულის წარმატებითი შეტევის შედეგად საბჭოთა არმიის ჯარები ფართო ფრონტით მიადგნენ ფაშისტური გერმანიის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებს და დაიკავეს საწყისი პოზიციები დამამთავრებელი დარტყმისათვის. ინგლის-ამერიკის ჯარებმა, რომლებიც რაინს მიადგნენ 1 აპრილისათვის დაამთავრეს მოწინააღმდეგის რურის ჯგუფების გარემოცვა. ამის შემდეგ ჰიტლერელთა მთლიანი ფრონტი ინგლის-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ ფფქტიურად დაიშალა. ამიტომ ინგლის-ამერიკის ჯარები, რომლებიც ორგანიზებულ წინააღმდეგობას არ ხვდებოდნენ, შეტევის ავითარებდნენ ჰამბურგის, ლაიპციგისა და პრაღის მიმართულებებით; აპრილის შუა რიცხვებისათვის მათი მოწინავე ნაწილები ელბას მიადგნენ.

გერმანელ ფაშისტთა სარდლობა, რომელმაც იცოდა ბერლინზე საბჭოთა ჯარების შეტევის მზადების შესახებ, ყველა ზომებს იღებდა იმისათვის, რომ თავისი ჯგუფები, რომელიც ბერლინის მიმართულებით ახორციელებდა თავდაცვას, გაეძლიერებინა ჯარების გადაყვანით გერმანიის შიდა რაიონებიდან და დასავლეთში მოქმედი შენაერთების შემადგენლობიდან.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები, ფაშიზმთან უკანასკნელი შტაკებისათვის რომ ემზადებოდნენ, ზუსტად ასრულებდნენ მოკავშირეებთან შეთანხმებულ პოლიტიკას გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. ომის ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი მიზანი იყო ფაშიზმის სრული ლიკვიდაცია, ყველა მთავარ ნაცისტ დამნაშავეთა მიცემა პასუხისგებაში იმ მხეცობათათვის, რაც მათ ოკუპირებული ქვეყნების ხალხთა მიმართ ჩაიდინეს. გეგმავდა რა შეტევის დასკვნითს კამპანიას, ჩვენმა უმაღლესმა მთავარსარდლობამ ჯერ კიდევ 1944 წლის დამლევს საბჭოთა არმიას დაუსახა ამოცანა უმოკლეს ვადაში დაეპყრო ბერლინი. ამ ამოცანას შეესაბამებოდა ჩვენი ფრონტების ძალების დაჯგუფება, მათი შეტევის მთავარი დარტყმების მიმართულება ვისლიდან ოდერისაკენ, ამ შეტევის ძლიერება და სწრაფი ტემპები.

მაგრამ ოდერთან ჩვენი ჯარების გასვლისა და მის მარცხენა ნაპირზე პლაცდარმების დაკავების შემდეგ შეიქმნა ვითარება, რომელიც გამორიცხავდა შეტევის დაუყოვნებლივ განგრძობის შესაძლებლობას. მთავარი დაბრკოლება იყო, ერთ მხრივ, ზურგის ფნიშვნელოვანი ჩამორჩენა და ამით გამოწვეული შეფრხეებანი ჯარების საბრძოლო მოძრაობებში, ხოლო მეორე მხრივ ის, რომ გაჭიმული მარჯვენა ფლანგს ბელორუსიის 1-ლი ფრონტისას, რომელსაც იმ დროს მე ვსარდლობდი, დაეშუქრა კონტრშეტევა „ვისლის“ არმიების გერმანელ ფაშისტთა ჯგუფისა, რომელიც აღმოსავლეთ პომერანიაში იყო თავმოყრილი. იყო სხვა არსებითი ფაქტორებიც — საბჭოთა ჯარების დაღლილობა და მათი შევსების საჭიროება, ციხე-სიმაგრე პოზნანის მტრის გარნიზონის წინააღმდეგობა, რაც გრძელდებოდა, აეროდრომების მომზადებული ქსელის უქონლობა და ა. შ. ყოველივე ამან ჩვენს უმაღლეს მთავარსარდლობას უარი ათქმევინა იმაზე, რომ დაეწყო დაუყოვნებლივი შეტევები ბერლინზე და მიეღო გადაწყვეტილება მთავარი ძალღონე დროებით მიემართა მოწინააღმდეგის აღმოსავლეთ პომერანიის დაჯგუფების განადგურებისაკენ. ამბების შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა, რომ ასეთი გადაწყვეტილება სწორი და დასაბუთებული იყო.

ამ საკითხზე შედარებით დაწვრილებით შევჩერდი, ვინაიდან ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც კვლავ გამოაქვთ დღის სინათლეზე დიდი ხნის წინათ უარყოფილი ვერსია ბერლინის დაპყრობის ვითომდა არსებული შესაძლებლობის და, მაშასადამე, ომის 1945 წლის თებერვალში დამთავრების შესახებ. ამგვარ საკითხებს რომ არჩევენ, როგორც ამას, მაგალითად, ამერიკელი ჟურნალისტი სოლსბერი აკეთებს, ისინი გადაკვრით ლაპარაკობენ საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობის რაღაც „განსაკუთრებულ მოსაზრებებზე“. კალმის ბურჟუაზიული ავაზაკები არაფერს არ ერიდებიან, ოღონდ კი ჩრდილი მიაყენონ საბჭოთა კავშირის სახელოვან საბრძოლო მატიანეს, ოღონდ საეჭვო გახადონ მისი პოლიტიკის სამართლიანობა და სტრატეგიის სისწორე, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მამაცობა და სამხედრო ოსტატობა. მაგრამ ისტორიის ფაქტები აცამტვერებენ ყველა ამ მონაბოროს.

□

საბჭოთა სახელმწიფოს, მისი შეიარაღებული ძალების ძლიერება და ჩვენი სამხედრო ოსტატობის მოწინავე ხასიათი განსაკუთრებული სისრულით გამოჩნდა ბერლინისათვის ბრძოლაში. ამ ოპერაციის ჩანაფიქრი ძირითადად გაირკვა 1944 წლის ნოემბერში. მისი დაზუსტება ხდებოდა ვისლა-ოდერის, აღმოსავლეთ პრუსიისა და პომერანიის ოპერაციების პროცესში.

1945 წლის 29 მარტს მთავარბანაკის გამოძახებით მოსკოვში ჩავედი და თან მქონდა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მოქმედების გეგმა. გეგმა შემუშავებული იყო ფრონტის შტაბისა და სარდლობის მიერ, ყველა პრინციპულ საკითხს ვუთანხმებდით გენერალურ შტაბს. ამან შესაძლებლობა მოგვცა უმაღლესი მთავარსარდლობის გადასაწყვეტად წარგვიდგინა ოპერაციის დეტალურად დამუშავებული გეგმა.

იმავე დღის გვიან საღამოს ლაპარაკი მქონდა ი. ბ. სტალინთან.

— ჯარებს როდის შეეძლებათ დაიწყონ შეტევა? — მკითხა ი. ბ. სტალინმა.

მე მოვახსენე:

— ბელორუსიის 1-ლ ფრონტს შეუძლია დაიწყოს შეტევა არა უგვიანეს, ვიდრე ორი კვირის შემდეგ. უკრაინის 1-ლი ფრონტი, ჩანს, ამავე ვადისათვის იქნება მზად. ბელორუსიის მე-2 ფრონტს, ყველა მონაცემის მიხედვით, დანაგიისა და გდინიას რაიონში მოწინააღმდეგის საბოლოო ლიკვიდაცია შეაჩერებს აპრილის შუა რიცხვებამდე...

— რას იზამ, — თქვა ი. ბ. სტალინმა, — ოპერაციის დაწყება მოგვიხდება როკოსოვსკის დაულოდნელად. მას რამდენიმე დღეც რომ დაგვიანდეს — არა უშავს რა.

შემდეგ მან წამოიძახა ერთ-ერთი უცხოელი კეთილისმსურველის წერილი. იქ ლაპარაკი იყო მოკავშირეთა ოფიციალურ წარმომადგენლებთან ჰიტლერელი აგენტების ფარული მოლაპარაკების შესახებ, საიდანაც ცხადი ხდებოდა, რომ ჰიტლერელები მოკავშირეებს სთავაზობდნენ შეეწყვიტათ ბრძოლა მათ წინააღმდეგ, თუ ისინი სეპარატულ ზავზე დათანხმდებოდნენ. ამ ცნობაში ხგრეთვე ნათქვამი იყო, რომ მოკავშირეებმა თითქოს უარყვეს ჰიტლერელთა წინადადებანი. მაგრამ მაინც გამორიცხული არ იყო იმის შესაძლებლობა, რომ ჰიტლერელები მოკავშირეთა ჯარებს გაუხსნიდნენ გზებს ბერლინისაკენ.

ყველა ჩვენნაირისათვის ნათელი იყო, რომ ჰიტლერელთა არმიის იმ მთავარი დაჯგუფების მხოლოდ უსწრაფესად განადგურებას, რომელიც ოპერაციის ობიექტად ბერლინის რაიონში, და ფაშისტური დედაქალაქის დაპყრობას შეეძლო მოეღო ბოლო ასეთი მაქინაციებისათვის.

შემდეგ განხილულ იქნა ვითარება და საბრძოლო მოქმედების მიმდინარეობა დანციგ-გდინიას რაიონში და ბელორუსიის მე-3 ფრონტის ზოლში. ეს საკითხი მოახსენა გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ ა. ი. ანტონოვმა.

მეორე დღეს ა. ი. ანტონოვმა გამაცნო პროექტი ბერლინის ოპერაციის საერთო სტრატეგიული გეგმისა, რომელშიც მთლიანად იყო შეტანილი ბელორუსიის 1-ლი და მე-2 ფრონტების შეტევის გეგმები. მთავარბანაკის მიერ შედგენილი ოპერაციის გეგმის ყურადღებით შესწავლის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ იგი კარგად იყო მომზადებული და საკმაოთ შეესაბამებოდა შექმნილ ვითარებას.

31 მარტს გენერალურ შტაბში ჩამოვიდა უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდალი ი. ს. კონევი, რომელიც იქვე ჩაება ბერლინის ოპერაციის საერთო გეგმის განხილვაში. მეორე დღეს უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარბანაკში მოსმენილ იქნა ა. ი. ანტონოვის მოხსენება ბერლინის ოპერაციის საერთო გეგმის შესახებ, შემდეგ — ჩემი მოხსენება ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების შეტევის გეგმის შესახებ და ი. ს. კონევის მოხსენება უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების შეტევის გეგმის შესახებ.

გადაწყდა ბერლინზე შეტევა დაწყებულიყო 16 აპრილს. სადამოს ჩემი თანდასწრებით უმაღლესმა მთავარსარდალმა ხელი მოაწერა ბელორუსიის 1-ლი ფრონტისადმი დირექტივას ბერლინის დაფფლების მიზნით ოპერაციის მომზადებისა და ჩატარების შესახებ და მითითებას 12-15 დღის განმავლობაში ელბასთან გასვლის შესახებ.

გადაწყდა ბელორუსიის 1-ლ ფრონტს მთავარი დარტყმა მიეყენებინა კიუსტრინის პლაცდარმიდან ოთხი საერთო საჯარისო და ორი სატანკო არმიის ძალებით. ამ უკანასკნელთა ჩაბმა ბრძოლაში ნაგარაუდევი იყო მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის შემდეგ, ბერლინის გარშემოვლით ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ფრონტის მეორე ეშელონი (მე-3 არმია) ნაგარაუდევი იყო ჩაგვება საქმეში აგრეთვე მთავარ მიმართულებაზე.

უკრაინის 1-ლი ფრონტისადმი დირექტივის პროექტს გამმოჯვნელი ხაზის შეცვლასთან და იმის შესახებ მითითებასთან დაკავშირებით, რომ ფრონტი მზად ყოფილიყო, თავისი სატანკო არმიები მიებრუნებინა სამხრეთიდან ბერლინისაკენ, უმაღლესმა მთავარსარდალმა ხელი მოაწერა ერთი დღით გვიან, ზოგიერთი შესწორების შეტანის შემდეგ.

იმასთან დაკავშირებით, რომ ბელორუსიის მე-2 ფრონტი ჯერ კიდევ აწარმოებდა დაძაბულ საბრძოლო მოქმედებას დანციგის სამხრეთ-აღმოსავლეთით და გდინიას ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში, მთავარბანაკმა მიიღო გადაწყვეტილება დაწყებულიყო ამ ფრონტის ძირითადი ძალების გადაჯგუფება ოდერზე და არა უგვიანეს 15 აპრილისა კოლბერგ-შვედტის უბანზე შეეცვალათ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები. დანციგისა და გდინიას რაიონებში მტრის დაჯგუფების სამოლოო ლიკვიდაციისათვის ნაბრძანები იყო ძალების ნაწილის დატოვება. ბელორუსიის მე-2 ფრონტს ოპერაცია უნდა დაეწყო ოთხი დღით უფრო გვიან.

შესაძლოა უმჯობესი იქნებოდა კიდევ ხუთ-იქვს დღეს მოცდა და ბერლინის ოპერაციის ერთდროულად დაწყება სამი ფრონტის მიერ. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, მთავარბანაკმა მხედველობაში მიიღო შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება და არ შეეძლო გადაედო ოპერაცია.

□

16 აპრილამდე დრო ცოტა რჩებოდა, ხოლო შესასრულებელი დონისძიებანი ბევრი იყო. უნდა განგვეხორციელებინა ჯარების გადაჯგუფება, მიგვეზიდა მატერიალური სამუალებათა მარაგი, განგვეხორციელებინა ფრონტების ოპერატიულ-ტაქტიკური და სპეციალური მომზადება. ილუსტრაციისათვის მოვიყვანდ მხოლოდ რამდენიმე ციფრს მარტო ბელორუსიის 1-ლი ფრონტის შესახებ.

მომზადების პერიოდში ფრონტის ჯარები განუწყვეტელ დაზვერვას ეწეოდნენ. ამ მიზნით მარტო მე-5 დამკვრელი და მე-8 გვარდიული არმიების ზოლებში მუშაობდა 1.800 სათვალთვალო პუნქტი, ავიაციამ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მოქმედების ზოლში მოასწინა 2.500-ზე მეტი სადაზვერვო თვითმფრინაგგაფრენა. მოწინააღმდეგის თავდაცვა რამდენჯერმე გადაღებულ იქნა ჰაერიდან 90 კილომეტრამდე სიღრმეზე, ბერლინის ჩათვლით. ფრონტის საგზაო ნაწილებმა შეტევის დაწყებისთანავე ააშენეს და აღადგინეს 300-მდე დიდი და პატარა ხიდი. ცენტრიდან ამ პერიოდში მიღებული ტვირთების საერთო რაოდენობამ შეადგინა 26.000-ზე მეტი ვაგონი, ხოლო ფრონტისშინა გადაზიდვებმა მოითხოვა 15.000 ვაგონზე მეტი.

ომის მსვლელობაში ჯერ კიდევ არ გვქონია შემთხვევა იერიში მიგვეტანა ისეთ დიდ, ძლიერ გამაგრებულ ქალაქზე, როგორიც ბერლინი იყო. მისი საერთო ფართობი უდრიდა დაახლოებით 900 კვადრატულ კილომეტრს. განვითარებული მიწისქვეშა ნაგებობანი მტერს შესაძლებლობას აძლევდნენ განეხორციელებინა ფართო მანევრი.

საბჭოთა ჯარებს უნდა გადაელახათ მოწინააღმდეგის წინასწარ მომზადებული ძლიერი თავდაცვა და პირველი რიგში ოდერ-ნოისეს თავდაცვითი ზღუდე. თავდაცვის საერთო სიღრმე ამ მიმართულებით, მათ შორის ბერლინის გამაგრებული რაიონისა, 100 კილომეტრს აღწევდა. ბერლინის გამაგრებული რაიონი შედგებოდა გარეთა, შიდა და საქალაქო რკალებისაგან. ქალაქის ცენტრისაკენ მიმავალ ყველა ქუჩაზე აგებული იყო ბარიკადები. კუთხის სახლები მომარჯვებული იყო სროლის საწარმოებლად. ქუჩების გზაჯვარედინებზე და მოედნებზე მოწყობილი იყო პოზიციები არტილერიისა და ნაღმსატყორცნებისათვის.

ბერლინის მთელი თავდაცვითი რაიონი გაყოფილი იყო რვა სექტორად. გარდა ამისა, ქალაქის ცენტრში მოწყობილი იყო თავდაცვის სექტორი (№ 9), რომელშიც განლაგებული იყვნენ ცენტრალური სახელმწიფო და პოლიტიკური დაწესებულებანი, რაიხსტაგი, საიმპერიო კანცელარია, ტირგარტენის პარკი. სექტორის პერიმეტრზე იყო 42 ხიდი, რომელთა უმრავლესობა ბრძოლის მსვლელობაში აფეთქებულ იქნა. გარნიზონის ჯარების დასაფარავად მოწინააღმდეგე იყენებდა ღრმა სარდაფებსა და ბომბსაფარებს.

ზოგიერთი დასავლეთელ ბურჟუაზიულ ავტორს ბერლინის ბრძოლისადმი მიძღვნილ თავიანთ შრომებში მკითხველი შეჰყავს შეცდომაში, როცა, მაგალითად, ამტკიცებს, რომ: „ბერლინის დაცვა ილუზიაა, ჰიტლერსა და მის სამხედრო მრჩევლებს არაფერი არ გაუკეთებიათ ქალაქის დაცვის განმტკიცებისათვის“. აზრი არა აქვს პოლემიკას ადამიანებთან, რომლებიც ფიხქვეშ თელავენ ფაქტებს, დოკუმენტებს და ბერლინისათვის ბრძოლების მონაწილეთა მოწმობებს. ასეთი „შემოქმედება“ სხვა არ არის რა, თუ არა ისტორიის უხეში დამახინჯება.

□

დაძაბული მუშაობის შედეგად საბჭოთა ჯარებმა დანიშნულ ვადაზე დაამთავრეს შეტევისათვის მომზადება. ფრონტებისა და არმიების სამხედრო საბჭოების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეულმა მრავალმხრივმა და მაზანასწრაფულმა პარტიულ-პოლიტიკურმა მუშაობამ ხელი შეუწყო მიზნისა და ნებისყოფის ერთიანობით შედუღაბებული ქვეგანაყოფებისა და ნაწილების შექმნას, გაძლიერა ჯარების შეტევითი აღტყინება, უზრუნველყო საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულება.

მოკლედ ვიტყვი, როგორ მიმდინარეობდა ბელორუსიის 1-ი ფრონტის შეტევა. 14 და 15 აპრილს ჩვენ მოვახდინეთ ბრძოლით დაზვერვა. მოწინააღმდეგემ ეს დაზვერვა შეტევის დაწყებად მიიღო და იწყო რეზერვების გადმოყვანა მეორე პოზიციაზე, როცა ჩვენმა ჯარებმა შეწყვიტეს წინსვლა და იქ იწყეს ადგილზე გამაგრება, ჰიტლერელთა გენერალიტეტიდან ზოგიერთმა ვინმემ, როგორც ეს შემდეგ გამოირკვა, ჩვენი შეტევა ჩაფუშულად მიიჩნია.

ომის წლებში მტერი მიეჩვია იმას, რომ გარღვევის წინ საარტილერიო მომზადებას ჩვენ ჩვეულებრივ ღილიდან ვიწყებდით, ვინაიდან ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშის ლიმიტირება ხდება დღის სინათლით. ამიტომ მოწინააღმდეგე არც მოელოდა იერიშს ღამით.

16 აპრილს ღილის ზუსტად 5 საათზე დაიწყო მძლავრი საარტილერიო მომზადება, რომელიც 30 წუთს გრძელდებოდა. შემდეგ აკამკამდა 140 პროჟექტორი, რომლებიც ყოველი 200 მეტრის გამოშვებით იყო განლაგებული. 100 მილიარდზე მეტი სანთელი აშუქებდა ბრძოლის ველს, აბრმავებდა მოწინააღმდეგეს და სიბნელიდან გამოკყავდა იერიშის ობიექტები. სუფათი უდიერსი შთამბეჭდავი ძალისა იყო და, მგონი, მთელ ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს ამის მსგავსი შეგრძნება. ჰიტლერელთა ჯარები პირდაპირ ჩაძირული იყვნენ ცეცხლისა და ლითონის მოლიან ზღვაში.

16 აპრილს ღილით ფრონტის ყველა უბანზე ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ. მაგრამ მაღე მოწინააღმდეგე გონს მოვიდა და დაიწყო წინააღმდეგობის გაწევა ზეელოვის მაღლობების მხრიდან თავისი არტილერიითა და ნაღმსატყორცნებით. ბერლინის მხრიდან გამოწნდნენ ბომბდამშეთა ჯგუფები. რაც უფრო მიიწევდნენ ჩვენი ჯარები ზეელოვის მაღლობებისაკენ, მით უფრო ძლიერდებოდა მტრის წინააღმდეგობა. ჰიტლერელები ვარაუდობდნენ სწორედ აქ შეეჩერებინათ ჩვენი ჯარები. აქ მათ ყველაზე დიდი რაოდენობით მოუყარეს თავი თავიანთი ძალებსა და საშუალებებს.

15 საათზე მე დავურეკე მთავარბანაკს და მოვახსენე, რომ მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველი და მეორე პოზიციები გარღვეულია, ფრონტის ჯარებმა წინ წაიწიეს ექვსმოდე კილომეტრით, მაგრამ სერიოზულ წინააღმდეგობას წაეწყდნენ ზეელოვის მაღლობების ზღვდესთან, რომ საერთოსაჯარისო არმიების დარტყმის გასაძლიერებლად ბრძოლაში შეყვანილია ჩვენი ფრონტის ორივე სატანკო არმია.

ჰიტლერელებმა დიდი დანაკლისი განიცადეს და ჩვენი სატანკო და საერთოსაჯარისო არმიების დარტყმებით მაღე დაიწყეს უკანდახევა ბერლინის თავდაცვის რაიონის გარეთა რკალზე.

უკრაინის 1-ლი ფრონტის შეტევა ოპერაციის პირველივე დღიდან უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა. როგორც მოველოდით, ამ ფრონტის მთავარი დარტყმის მიმართულებაზე მოწინააღმდეგის თავდაცვა მნიშვნელოვნად უფრო სუსტი აღმოჩნდა. 17 აპრილს, როგორც გათვალისწინებული იყო მთავარბანაკის მიერ, ბრძოლაში შეყვანილ იქნა უკრაინის 1-ლი ფრონტის ორივე სატანკო არმია, რომლებმაც შემდეგ დაიწყეს წინ წაწევა ცოსენისა და ლუკენვალდესაკენ.

25 აპრილს 47-ე არმიის 328-ე მსროლელი დივიზია და ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მე-2 გვარდიული სატანკო არმიის 65-ე სატანკო ბრიგადა, რომელებიც ბერლინის დასავლეთით უტევდნენ, კიტცენის რაიონში შეუერთდნენ უკრაინის 1-ლი ფრონტის მე-4 გვარდიული სატანკო არმიის მე-6 გვარდიულ მექანიზებულ კორპუსს.

ამრიგად, მტრის ბერლინის დაჯგუფება, რომლის საერთო რაოდენობა 400 ათასზე მეტ კაცს შეადგენდა, იზოლირებული აღმოჩნდა. ბელორუსიის 1-ლი და უკრაინის 1-ლი ფრონტების მე-3 გვარდიულმა, 33-ე, 69-ე და 28-ე არმიებმა მოწინააღმდეგის საკუთრივ ბერლინის დაჯგუფებას მოჰკვეთეს ფრანკფურტ-გუბენის ორასიათასიანი ჯგუფი; მაღე იგი ლიკვიდირებულ იქნა.

□

წარმატებით ვითარდებოდა ბრძოლები თვით ბერლინშიც. ქალაქის დაცვა შესუსტებული იყო იმით, რომ ჰიტლერელთა სარდლობა იძულებული გახდა ბერლინის გარნიზონის ჯარების ნაწილი გამოეყენებინა ზეელოვის მაღლობებზე წინააღმდეგობის გასაძლიერებლად. მაგრამ ჩვენი ნაწილები ქალაქის ცენტრალურ ნაწილს რომ მიადგნენ, მოწინააღმდეგის აქტივობა გაძლიერდა. აქ თავდაცვა მთლიანი იყო. ბერლინის ცენტრალურ ნაწილში ბრძოლების მთავარი სიმძიმე დაეწვა ჩვენს მიიერიშე ჯგუფებსა და მოიერიშე რაზმებს.

ქვეითი ჯარისა და ტანკების თვითეულ იერიშს თან ახლდა არტილერისა და ავიაციის მასირებული დარტყმები. სხვადასხვა კალიბრის 11 ათასი ქვემეხი დროის გარკვეული შუალედების შემდეგ ერთდროულად იწყებდა სროლას. 21 აპრილიდან 2 მაისამდე ბერლინის წინააღმდეგ მოხდა თითქმის 1.800.000 საარტილერიო გასროლა.

ბერლინის დაცვა გაცამტვერებულ იქნა. საბჭოთა მეომრებს ზეიზეიდ მიჰქონდათ იერიშები კვარტალებზე და ამასთან მასობრივ გმირობას იჩენდნენ. შეუძლებელია ჩამოთვალოთ აქ ყველა იმ მებრძოლთა, მეთაურთა, პოლიტმუშაკთა სახელები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს.

თვითეულ საბჭოთა მეომარს უნდოდა მოესპო მოწინააღმდეგის ბერლინის დაჯგუფება 1 მაისის დღესასწაულისათვის. მაგრამ მტერი, თუმცა სულთმობრძავი იყო, მაინც განაგრძობდა ბრძოლას, ებღაუჭებოდა თვითეულ სახლს.

1945 წლის 30 აპრილი სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ხალხის ხსოვნაში და ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლის ისტორიაში. ამ დღეს გენერალ ვ. ი. კუზნეცოვის მე-3 დამკვრელი არმიის ჯარებმა აიღეს რაიხსტაგის შენობის ძირითადი ნაწილი. რაიხსტაგის უშუალო იერიშს ასორციელებდა გენერალ ს. ნ. პერეგუდორტკინის 79-ე მსროლელი კორპუსი. მთავარ დარტყმას აყენებდა იდრიცკის გაძლიერებული 150-ე მსროლელი თვითეული. რომელსაც ეხმარებოდნენ 23-ე სატანკო ბრიგადა და კორპუსის სხვა ნაწილები. დამხმარე დარტყმას აყენებდა პოლკოვნიკ ა. ი. ნეგოდას 171-ე დივიზია.

და აი სამეთაურო პუნქტზე დამარეკა ვ. ი. კუზნეცოვმა და სიხარულით მაცნობა:

— რაიხსტაგზე წითელი დროშაა ვაშა, ამხანაგო მარშალო!

მე მივუთითე მე-3 დამკვრელი არმიის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შესანიშნავი გამარჯვება. 1 მაისის დღის ბოლოსათვის ჰიტლერელთა ნაწილებმა, რომლებიც რაიხსტაგს იცავდნენ, ვეღარ გაუძლეს ბრძოლას და დაიწყეს ტყვედ დანებება. რაიხსტაგი მთლიანად გაწმენდილ იქნა მოწინააღმდეგისაგან. ჰიტლერელთა ხელში დარჩა მხოლოდ ტირგარტენი და მთავრობის კვარტალი. აქ განლაგებული იყო საიმპერიო კანცელარია, რომლის ეზოშიც იყო ჰიტლერული კამპანიის ბუნკერი. საღამოს ჩვენმა ჯარებმა ხელში ჩაიგდეს საიმპერიო კანცელარია, ხოლო 2 მაისს 15 საათისათვის მტერს ბერლინში მთლიანად მოეღო ბოლო. მოწინააღმდეგის ბერლინის გარნიზონის ნაშთები, რომელთა საერთო რაოდენობა 70 ათას კაცს აღემატებოდა, ტყვედ დაგვნებდნენ.

...1945 წლის 9 მაისის 0 საათსა და 43 წუთზე გერმანიის მთავრობის დელეგაციამ ხელი მოაწერა აქტს ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.

ბერლინისათვის ბრძოლების უკანასკნელ დღეებში საბჭოთა ჯარებს მოუხდათ შეესრულებინათ კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — განეხორციელებინათ პრაღის ოპერაცია.

5 მაისს უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარბანაკმა შეიტყო, რომ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში აჯანყება დაიწყო და რომ გაჩაღდა აჯანყებულთა ბრძოლები ჰიტლერელთა ჯარებთან. მთავარბანაკმა უკრაინის 1-ლ ფრონტს უბრძანა დაეჩქარებინა პრაღის ოპერაციის დაწყება. ამ ბრძანების შესასრულებლად უკრაინის 1-ლი ფრონტი დაგეგმილზე ერთი დღით ადრე გადავიდა შეტევაზე. 9 მაისის წინაღამეს საბჭოთა ჯარები პრაღის რაიონში გავიდნენ, დილით ადრე კი ქალაქში შევიდნენ. მოსახლეობა მათ მხურვალედ მიეგებოდა.

ბერლინის ოპერაციის მსვლელობაში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის 93 დივიზია და ბევრი ცალკეული ნაწილი და ქვეგანაყოფი, ტყვედ წამოიყვანეს 480 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელში ჩაიგდეს უამრავი სამხედრო ტექნიკა. ბერლინის ოპერაციის შედეგად ფაშისტური გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა საბოლოოდ დემორალიზებულ იქნა.

**ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებს წილად ხვდათ პატივი მთავარი დარტყმა მიეყენებინათ ფაშისტური ბუნაგისათვის — ბერლინისათვის. რომგორც ფრონტის სარდალს, მინდა აღვნიშნო დიდი დამსახურება, რაც მიუძღვით სამშობლოს წინაშე შტაბის უფროსს — გენერალ მ. ს. მალინინს, არტილერიის სარდალს — გენერალ ვ. ი. კაზაკოვს, ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სარდალს — გენერალ გ. ნ. ორიოლს, საინჟინრო ჯარების უფროსს — გენერალ ა. ი. პროშლიაკოვს, სარდლის მ

სამაისო თბილისი

საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულა ჩვენი თბილისი. მწვანეში ჩამჯდარ ქალაქს მეტ ეშხსა და შნოს მატებს დროშები, პლაკატები, ტრანსპარანტები, მხატვრული სურათები, რომლებიც უხვად გაუკრავთ შენობათა ფასადებსა და მოედნებზე.

საზეიმო განწყობილება იგრძნობა ყველგან. ამას ხელს უწყობს ჩახჩახა მზე და წყნარი ამინდი. ასეთ დროს ადამიანს გული სახლში აღარ უდგება, სახეირნოდ სურს გარეთ გასვლა. დასასვენებელი ადგილები კი ცოტა როდი გვაქვს თბილისში.

როგორ არის ამ მხრივ მდგომარეობა წელს ჩვენს დედაქალაქში, რა გაკეთდა ახალი თბილისში საპირველმაისოდ. აი რა გვაინტერესებდა, როცა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში მივედით.

პირველად აღმასკომის კეთილმოწყობის საამმართველოს მივაშურეთ. საამმართველოს უფროსმა ბ. მურღულიამ ბევრი რამ ახალი ცნობა მოგვაწოდა წლევანდელი საგაზაფხულო სამუშაოების შესახებ, იმ საპირველმაისო საჩუქრებზე, რომლებიც მათ მოუმზადეს დედაქალაქის მშრომელებს.

— პირველი მაისისათვის მთლიანად დამთავრდა დედაქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი დასასვენებელი ადგილის.— კუს ტბის კეთილმოწყობა, — გვეუბნება ბ. მურღულია, — რემონტი გაუკეთდა, მოასფალტდა მისასვლელი გზატკეცილი, მუშაობს საბაგირო გზა. გამწვანდა მთის ფერდობები, კეთილმოეწყო საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტები. აქ აშენდა თანამედროვე არქიტექტურული სტილით ნაგები კაფე, რეზერვუარები, რომლებმაც კუს ტბის ყველა ობიექტი უზრუნველყო სასმელი წყლით.

სათბოს მომატებასთან ერთად სულ უფრო მეტი ხალხი ეტანება თბილისის „ზღვას“. საბანაო სეზონში ახალგაზრდობის ჟრიამული აავსებს აქაურობას. იმასთან დაკავშირებით, რომ ცვალებადობს ხანაპირო ზოლი, გადაწყდა პლაჟის საფეხუროვანი მისასვლელის მოწყობა. წელს 400 მეტრზე გაკეთდა ასეთი საფეხურიანი პლაჟი.

დიდი ზეიმით აღნიშნავს მთელი ჩვენი ხალხი გერმანელ ფაშისტებზე გამარჯვების 25 წლისთავს.

გამარჯვების დღისათვის მთლიანი რეკონსტრუქცია გაუკეთდა ძმათა სასაფლაოს კუკიაზე, ოქტომბრის რაიონში. დადგუპულ მეომართა ნაფლავებზე დაიდგა რამდენიმე ქვის ახალი სტელა, მოიკირწყლა და გაფენილდა მისასვლელი გზები, დაიდგა ორნამენტებით შემკული ‘ქვის ობელისკი.

საგულდაგულოდ მოემზადნენ წლევანდელი სიზონისათვის კულტურისა და დასვენების პარკები. ახალი მოძრავი ავტოტრაქციონები დაიდგა კუს ტბაზე, მთაწმინდის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, კიკვიძის სახელობის პარკში. ახალი დამატებითი ნაგება მიიღეს პარტიზანთა სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (ლისის ტბა).

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში 8 მაისს გაიხსნება ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალი, რომლის ექსპოზიციის თემაა „თბილისი და თბილისელები დიდ სამამულო ომში“...

სამაისოდ დედაქალაქის პარკებსა და დასასვენებელ ადგილებში გაიმართება კონცერტები, დიდი სახალხო სეირნობანი.

ლარისა ხუბულური.



ქაქ იწყებოდა მაისობა...

დაბედეთ ამ სურათს! დღეს სწორედ ასეთია თბილისის ზღვის მიდამოები. გუშინ იგი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გადაიღო. თვალს იტაცებს ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი ეს პეიზაჟი — ზღვა თავისი სწრაფმავალი კატარღებით, ზღვის ნაპირი — ლამაზი შენობებით და ცის კამარა — რეაქტიული თვითმფრინავივით...

მაგრამ ეს სურათი სხვა მხრივაც საინტერესოა. იგი ჩვენს წარმოდგენაში აცოცხლებს ქართველი ხალხის რევოლუციურ წარსულს, სახელოვან მამულიშვილთა საქმეებს, რომელთაც აქ შვიდი ათეული წლის წინათ საპირველმაისო დღესასწაულის წითელი დროშა აღმართეს.

უფროსი თაობის ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია. ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ღრმაღელვისა და მლაშე ტბის მიდამოებში არალეგალურად დაწყებული საპირველმაისო დღესასწაული ახლა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების განიერ ქუჩებშიც აღარ ეტევა. დღეს მშრომელთა დემონსტრაციაზე ადამიანები მაღლა აღმართავენ ‘იმ წითელ დროშას, რომელიც მათ მემკვიდრეობად მიიღეს, მოწიწებით გამოატარებენ იმათ პორტრეტებს, ვინც თავი შესწირა ხალხთა თავისუფლების საქმეს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გრძნობა მამულისა

დედაქართული სოჭი-მდინარის ხეობაში

ქართველ კაცს თავისი მიწაწყლიდან აყრა და ბედის საძიებლად ცხრა მთას იქით სიარული არ უყვარს. ან კი სხვაგან სად წაესვლება. და თუ ძალით არ გადაუხვეწიათ, საკუთარი კერა არაფერში არ გაუცვლია, არარაისთვის არ უნაცვლებია. ადგილის დედის გრძნობა იმთავიდანვე, დასაბამიდან დაპყოლია!

ისტორიული შავბედობით, ან პოლიტიკური კატაკლიზმების გამო მამულიდან წარკვეთილთა არსებობა ვი რომ ნახეკარ სიცოცხლეა, ყველაზე მთავარს მოკლებულა. შესაძლოა, ბევრ მათგანს არც შია, არც სწყურია, მაგრამ რჩება უცხოდ უცხოთა კარს, მობეზრებული სტუმრის მდგომარეობაში. ჩვენი წერილის თემა ეს არ არის, მხოლოდ სიტყვამ მოიტანა.

ორიოდე ქართული სოფელი ჩვენშიც არის, ამერ-იმერს გარეთ. მათ მინიატურულ საქართველოს უწოდებენ, და მართალიც არიან!

ძალიან ადვილია ერთ-ერთი მათგანი ინახულოთ. ამისათვის სოჭში უნდა ჩაბრძანდეთ, და ჰა, ათიოდე კილომეტრის შემდეგ თქვენ უკვე სტუმართმოყვარე სოფელ პლასტუნკას მიადგებით, რომელსაც გარსშემოჯარულ მოლურჯო-მომწვანო მთათა გვირგვინი ჯიღასავით დასდგომია და ანკარა მდინარე სოჭი ნიადაგ მოუწყინრად ებაასება. ხამადაც რომ მოხვდეთ ამ ადგილებში და მისი ასავალ-დასავალიც არ უწყოდეთ,, უშალვე გუმანით რაღაცას მიხვდებით, გული სხვანაირად შეგიქანდებათ და თქვენდაუნებურად აღმოგხდებათ: საქართველოში ხომ არა ვართ! ეს კრინმანეულივით დაკლაკნილი გზები, ხეობებში მიმოფანტული ოდა-სახლები, ლანდშაფტის ყველა კონტური და ფერი გაგონებთ ბავშვობიდან თანშეზრდილ რაჭას თუ ლეჩხუმს, ჩვენს დარბაისლურ მთიანეთს. ხოლო როცა წმინდა, შეუმღვრეველ ქართულს მოისმენთ, სიხარულით თოთქოს მეორედ დაიბადებით...

ასეოდე წელია ქართველმა კაცმა აქ დაადგა ფეხი და ისე შეეთვისა აქაურობას, როგორც მისი თვისტომნი და სისხლხორცნი უცხელს, ცხუკუშერს. ვერავითარი იძულება და აღთქმანი ვერ გააჩერებდა მას ახალ გარემოში, რომ დანატოვრის ორეულად არ აღმოცენებულიყო ახალი სოფელი, რომელიც ასე უჩვეულო და გაუსაძლისი აღმოჩნდა თვით კაზაკ პლასტუნებისათვის, ვისგანაც მიიღო ეს სახელი. რამდენიმე ასეული კომლი მკვიდრად დაფუძნდა, თვალი გასაქცევად აღარავის ეჭირა, რადგან „დიდი მიწიდან“ განშორების სიმძიმილი მათთვის უცხო იყო, ფესვით ისევ იმ მაცოცხლებელ ნიადაგთან იყვნენ დაკავშირებული. კავკასიონის გზა-ვიწროებსა და ბილიკებს ალბათ ახლაც ატყვიათ პირველმოსახლე უზაძეების, კაპანაძეების, სვანიძეების, მიქაძეების, კუპრაშვილების, ცქიტიშვილების, ცქიფურიშვილების ნაკვალევი. მათ „თამაშად და მღერად უჩნდათ“ თუნდაც ბეჭვის ხიდზე სვლა, ოღონდ სახლიკაცებთან ყოფნის სიხარულის წყურვილი მოეკლათ.

უთუოდ სულით ძლიერნი იყვნენ ის პირველი პლასტუნკელები. ერთია ბუნების სტიქიასთან გულდაგულ შებმა, კარგი მთამსვლელის, მონადირის სახელის მოხვეჭა, მაგრამ ცხოვრება მოითხოვს არა მარტო ამას. და როდესაც ბესარიონ გვათუამ, ვლადიმერ ნორაკიძემ, ავქსენტი გვათუამ, ივანე ლოლუამ ცხრაასხუთის გარიჟრაჟზე პლასტუნკაში ახალი აზრების ქადაგება დაიწყეს, მთელი სოფელი ფეხზე დადგა, ყალყზე შეიმართა, ამხედრდა, აღარც გადასახადებს იხდიდა და სამხედრო ბეგარაზედაც უარს ამბობდა. როგორც იტყვიან, ქუდზე კაცი გამოვიდა ცხრაასხუთის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს. პლასტუნკის მეხოვრები 138 ქართველი იბრძოდა იარაღით ხელში. მერე აქაც მძვინვარებდა თეთრი ტერორი. დღისით, მზისით გაუსამართლებლად დახვრიტეს რევოლუციის რაინდები ივანე ბალათურია და ათანასე კუცია, ბევრიც წარმოსახვას. კატორღაში ნამყოფი მამაცი ცხრაასხუთელი და უშიშარი პარტიზანი ხალხის ქედუხრელობის ცოცხალი სიმბოლოა. ბერმუხის ამონაყარიც ღონიერია: პლასტუნკაში თავკაცებად არის მიჩნეული მისი ოთხი შვილი. დღეგრძელობა და გამრავლება ყველა თქვენგანს!

რა სასიამოვნოა, რომ პლასტუნკელმა ქართველებმა არცერთ ისტორიულ მოსაბრუნში, უმძიმესი განსაცდელის ჟამსაც არ შებღალეს, წმიდად შემოინახეს ჩვენი მოდგმის სახელი. მადლობა მათ ამისათვის, ძმური ამბორი და თაყვანისცემა ჩვენგან...

მალე 70 წელი შეუსრულდება აქაურ სკოლას, რომელიც ეფრემ ცსადაძესა და ნ. სლაჭსკის დაუარსებიათ. რა მტკიცება უნდა, რომ მშობლიურ ენაზე ჩატარებულ გაკვეთილებს აქ განსაკუთრებული ყურა აქვს! აი თვალმერცხალა ბიჭუნები და გოგონები ოთარ უჩაძე, ვახტანგ მელაძე, ლია უჩაძე, მზია ფრუიძე, კეთილაძე, კუპრაშვილი, ლეფსწყვრიძე, სვანიძე, ცხვედიანი... გრამატიკის მშრალი კანონები მათთვის რაღაც უფრო მტკა, ვიდრე სავალდებულო სასწავლო მასალა, ეს თითქოს იდუმალი შეტრფიალებაა მარად აწდასაავიწყებ ლამაზ დედაენასთან, რომლითაც ყველა ადამიანური გრძნობა ასე უმეტნაკლებოდ გამოითქმის. აქ ჩამოთვლილი ბავშვები ბედნიერი გამონაკლისი არ არიან. დანარჩენებზეც ამასვე გაიმეორებთ, თუ შემთხვევა მოგეცათ და გაკვეთილზე ან მათ გარეთ მოუსმინეთ.

გონების თვალით წარმოვიდგინოთ მათი მომავალი: იქნებ ისინი გაპყვნენ, მაგალითად, ქსენია ცხაკაიას გზას, რომელმაც თავის დროზე პლასტუნკაში დაიწყო სწავლა და ახლა პროფესორია? ეგებ ზოგს სახელოვანი თანამემამულის, საქართველოს სამხედრო კომისრის, გენერალ-მაიორ ვახტანგ მურუსიძის კარიერა უფრო მოხიბლავს, რომელმაც დაწყებითი განათლება აქ მიიღო? მათ თვალწინ ხომ სკოლის დირექტორის ვერა ფრუიძის, პედაგოგ ჭიჭიკო მურუსიძის და სხვათა ცხოვრების დიახაც ჭკუის სასწავლი, წაბაძვის ღირსი მაგალითებიც არის.

როგორც ყველა სკოლას, პლასტუნკელთა განათლების კერასაც აქვს თავისი სპეციფიკური საჭიროებანი, პერსპექტივები. მათ შესახებ საგულისხმო შეხედულებანი გაგვიზიარა ვერა ფრუიძემ. უპირველეს ყოვლისა, აქ როგორც ჰაერი და პური არსობისა, სჭირდებათ ძლიერი, კვალიფიციური მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც აუცილებლად ჩვენი რესპუბლიკიდან უნდა მოეკვლინოს პლასტუნკელებს. ჩვენმა თანამოსაუბრემ რწმენა და იმედი გამოთქვა, რომ მსურველი განა ერთი და ორი აღმოჩნდება!

დიდი სოჭის რაიონში შეგიძლიათ ნახოთ შორეული ჩრდილოეთის, უკრაინის თუ სხვა რესპუბლიკების მსხვილ საწარმოთა ან უწყებათა მიერ აშენებული პიონერთა ბანაკები, შესანიშნავი საკურორტო ნაგებობანი, რომელთაც საზაფხულო სეზონის შემდეგ სხვა დანიშნულებისათვის იყენებენ. როგორც გადმოგვცეს, პლასტუნკელ სკოლის მუშაკებსაც ჰქონიათ თავისებური ჯენტლმენური შეთანხმება იქ სტუმრად მყოფ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელებთან. ამ უკანასკნელთ დიდი სიამოვნებით გამოუთქვამთ სურვილი, რომ პლასტუნკაში ააგებენ პიონერთა ბანაკის კაპიტალურ შენობას, რომელშიც ზაფხულის თვეების გარდა სკოლა იმუშავებს (სკოლის ახლანდელი შენობა უკვე ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და ახალი შენობის აგება, საერთოდ, კონტინგენტის სიმცირის გამო განზრახული არ არის). საქმე ეხება არა უბრალოდ მუშაობის უკეთესი პირობების შექმნას, არამედ სკოლის მთელ მომავალს, მისი შემდგომი არსებობისათვის საფუძვლის გამაგრებას.

არ ვიცით, ეყოფა თუ არა ოდესმე პლასტუნკას ბაკშვთა კონტინგენტი საშუალო სკოლისათვის, მაგრამ ერთი ცხადია: ურიგო არ იქნება ვიზრუნოთ მათგან ყველაზე ნიჭიერთა შესარჩევად ჩვენი სკოლა-ინტერნატებისათვის, რათა მათ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცეთ და, მაშასადამ, მშობლიურ ენაზე განათლების ფართო სარბიელზე გამოვიყვანოთ.

პლასტუნკა და პლასტუნკელები უყვართ სოჭის ახლომახლო მიდამოების მცხოვრებთ... მათ პატივს სცემენ ალაკმართლობისათვის. გაღიმებული შუბლისა და ყველა ეროვნების ხალხებთან სამეგობროდ ხალვათად გადაშლილი გულისათვის, დაუშრეტელი სიკეთისა და მხნეობისათვის.

პლასტუნკას ბუნებრივად შეეზარდა ამ მიდამოებს, მისი ორგანული, გენუყოფელი ნაწილი გახდა. ცხოვრობს იგი რუს, სომეს თუ სხვა მეზობელთა გვერდით და მხარდამხარ, როგორც მათი ძმა და მეგობარი, თანამშრომარე, ჭირისა და ლხინის ვაჟკაცურად გამყოფი, ათასი ხიელული თუ უხილავი საურთიერთო ძაფით დაკავშირებული, ყოველდღიური საჭიროებებისათვის საერთო გარჯით მჭიდროდ შეკრული და შეხმატკბილებული.

ვასო ბაიაძე.

კრასნოდარის მხარე, ადლერის რაიონი, სოფ. პლასტუნკა.

ვარდოსანთვე

წელს ჩვეულებრივად მარტმა იმარტა, აპრილმა სითბო და სიმწვანე მოგვიტანა, განსაკუთრებით დათბა აპრილის უკანასკნელ დღეებში ისე, რომ თბილისელებმა უკვე საზაფხულოდ იწყეს მორთვა-მოკაზმვა.

როგორი იქნება მაისი, ვარდობისთვე ჩვენს რესპუბლიკაში? აი ამის შესახებ რას ვარაუდობენ თბილისის ამინდის ბიუროს სინოპტიკოსები.

ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურას **აღმოსავლეთ საქართველოში** მოელიან 17-20 გრადუსის ფარგლებში, რაც მრავალწლიანი მონაცემების ნორმასთან შედარებით მაღალია ორი, ორნახევარი გრადუსით. ნალექების თვიური ჯამი კი ნორმაზე ნაკლები გვექნება.

8-9, 17-21, 27-30 მაისს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, დანარჩენ დროს კი მეტწილად მცირეღრუბლიანი და მშრალი ამინდი იქნება. ყველაზე დაბალი ტემპერატურა მოსალოდნელია თვის ბოლოს, ყველაზე მაღალი ტემპერატურა კი 1-4 და 24-28 მაისს. დანარჩენ დროს ღამით გვექნება — 10-15, დღისით 19-24 გრადუსი.

დასავლეთ საქართველოში საშუალოდ ვარაუდობენ 18-20 გრადუს სითბოს. ნალექების რაოდენობა აქაც ნორმაზე ნაკლები იქნება.

5-7, 18-21 და 30-31 მაისს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, თვის დანარჩენ დროს — მეტწილად მცირეღრუბლიანი და მშრალი ამინდი იქნება, ალაგ-ალაგ ნისლი.

ყველაზე დაბალ ტემპერატურას უნდა ველოდოთ თვის ბოლოს — ღამით 10-15, დღისით 17-20 გრადუსს. ყველაზე მაღალი ტემპერატურა კი იქნება 19-28 მაისს — ღამით 16-20, დღისით — 26-31 გრადუსი, დანარჩენ დროს მოსალოდნელია ღამით 12-17, დღისით 20-25 გრადუსი.

ამინდი

ოლიმპიადის ეკრანზე

ოლიმპიადა

ოლიმპიადა

ოლიმპიადა